თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №541276

ნომერი: AR1108197

თარიღი : 08.02.2013

გაცემის თარიღი : 11.02.2013

გაცნობის თარიღი : 12.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი VII ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბაღდავაძე პ/ნ 60002011919
- თბილისი, კოსტავას I შესახვევი, კორპუსი 9, ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.11.2012 წლის №436935 ბრძანებით

შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 02/08/2013 წ. AR1108197 განცხადებით მომართა ზაზა ბაღდავაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 11/16/2012 წლის 436935 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაზე –3.300 ნიშნულის გეგმა–ნახაზის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი VII, ი.ბ.ა ,,მილენიუმი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი #01.14.04.018.010) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად 16.11.2012 წლის №436935 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში, –3.300 ნიშნულის გეგმა–ნახაზზე არ იქნა დატანილი 15.–16 ღერძებში განსათვასებელი ავტოფარეხი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება და დამატება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
დღეისათვის დამკვეთმა წარმოადგინა გეგმა–ნახაზეები, რომელზეც სწორად არის მითითებული ავტოფარეხების განთავსების ადგილები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ იცვლება ტექნიკური–მაჩვენებლები და ცვლილება არსებით გავლენას არ მოახდენს არქიტექტურულ პროექტზე. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანმოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დაამატოს 3.300 ნიშნულის შესწორებული გეგმა–ნახაზი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.11.2012 წლის №436935 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი –3.300 ნიშნული გეგმა–ნახაზები;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.11.2012 წლის №436935 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წსით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;